№ 112 31 მაისი, ხუთშაბათი 1866—1879 31 მაისი, ხუთშაბათი № 112

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ-წლისა—5 მ ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები

(„დროების“ კორრესპონდენტისაგან)

ბათუმი, 29 მაისს. დღეს მობრძანდა აქ თავის შვილით მისი უმაღლესობა დ. მ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე. ხალხი დიდის ალტაცებით მიეგება. ამ უკანასკნელ ომიანობის დროს ოსმალებისაგან ძალად-წამოყვანილ აბხაზებმა მიართვეს დიდ მთავარს თხოვნა, რომელშიაც თავის გაჭირებულ მდგომარეობაში შემწეობასა და თავის ქვეყანაში დაბრუნების ნება-რთვას თხოულობენ.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 28 მაისს. დღეს, დილის 10 საათზე, სმოლენსკის მინდორზე შეასრულეს უზენაეს სასამართლოსაგან დადგენილი განაჩენი სახელმწიფო დამნაშავის სოლოვიევის შესახებ (ე. ი. ჩამოაღრჩვეს).

გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ამბობს, რომ მესამე აღმოსავლეთის სესხზე 600 მილიონს მანეთზე მოაწერეს ხელიო; ხელის-მომწერლებს, რაც მოაწერეს, მხოლოთ იმის ნახევრის ობლიგაციები მიეცემათო.

ოდესსა, 27 მაისს. ოდესსის ხალხმა დიდის ამბით გააცილა დღეს ღენ. სკობელევი, რომელიც ბურგასში მიდიოდა. კარანტინის ნავთსადგურში მოგროვდნენ: კამენდანტი, გრადონაჩალნიკი, ქალაქის თავი, აფიცრები და სალდათები მე-30 დივიზიისა. სკობელევმა მოიხადა ქუდი, თავი დაუკრა თავის მხნე ჯარს და უთხრა, რომ ახლა თქვენი ვალი ის არისო, რომ სოფელში განაგრძოთ თქვენი ერთგული სამსახურიო; მხნეობა და ხელმწიფისა და მამულის ერთგულება უნდა ჩაუნერგოთ იქ მოზარდ ახალგაზდობასაო.

პეტერბურღი, 29 მაისს. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა მობრძანდნენ გუშინ ლივადიიდამ ცარსკოე სელოში. სამხედრო მინისტრი გრაფი მილიუტინიც დაბრუნდა აგრეთვე პეტერბურღში.

პეტერბურღის ბირჟა, 28 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.	
პირველი გამოცემის —	96	50	
მეორე— — — — —	94	75	
მესამესი — — — —	94	75	
მეოთხესი — — — —	94	75	
აღმოსავლეთის პირ. —	92	75	
აღმოსავლეთის მეორე—	92	„	
აღმოსავლეთის, მესამე—	„	„	
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	8	46	
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94	93	
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან.	კაპ.	
პირველი სესხის — —	240	50	
მეორე სესხის — —	238	75	
1 მანეთი ღირს:			
ლონდონი — —	23	75	პენსი
ამსტერდამი— —	118	„	ცენტი
ბერლინი— — —	200	„	პფენიგი
პარიჟი — — —	248	„	სანტიმი
კავკასიის კერასინი —	„	—	„

საქართველო

დღიური

*** გუშინ, სამშაბათს, საღამოს 8 საათზე თფილისის საადგილ-მამულო ზალაში იყო საზოგადო კრება „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.“

გამგეობის სეკრეტარმა წაიკითხა გასულის სხდომის ანგარიში.

შემდეგ თავმჯდომარის მოადგილემ თ. ილია ჭავჭავაძემ წარმოუდგინა კრებას გამგეობისაგან მოსაზრებული ანგარიში წლევანდელ შემოსავალ-გასავლისა. ამ ანგარიშიდამ, სხვათა შორის, შევიტყეთ, რომ საზოგადოება მოელის წელს შემოსავალს: თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან—11,000 მანეთს, ქუთაისის ბანკიდამ აგრეთვე 11,000 მანეთს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ ფულიდამ 8,000 მანეთი უნდა დაიხარჯოს ქუთაისის გუბერნიაში წერა-კითხვის გავრცელების საქმეზე, დანარჩენი 3,000 მან. კი საზოგადოების სრულს განკარგულებაში იქნება; ამას გარდა საზოგადოებას უნდა შემოუვიდეს წელს საზოგადოების დამფუძნებელთაგან — 2,520 მან., (126 წევრისა, თითომ ოცი მან.), ნამდვილ წევრებისაგან 606 მან. (101 ნამდვილი წევრია, თითომ 6 მან)., სპექტაკლებისა და სხვა ამგვარ ღონისძიებიდამ—1000 მან., სულ 17,520 მან. (ქუთაისის 8,000 მანეთით—25,520 მან.)

ამ ფულების დახარჯვის თაობაზე გამგეობამ ერთი გარკვეული აზრი ვერ წარმოადგინა; შვიდ წევრში ხუთის აზრი ყოფილა, რომ ბანკებიდამ შემოწირულ ფულს (14,000 მანეთს) ხელი არ ახლონ, ძირად ფულად დასტოვონ და საქმეში კი მოიხმარონ მხოლოთ სარგებელი ამ ფულისა და აგრეთვე სხვა ყველა შემოსავალი საზოგადოებისა; ერთის წევრის (თ. რაფ. ერისთვის) აზრი ყოფილა, რომ 12,000 მან. გადაიდვას ცალკე, ძირად ფულად, და დანარჩენი საქმეს მოხმარდეს, და მეორე წევრიც (უფ. ნ. ცხვედაძე) ამტკიცებდა, რომ ძირად ფულად 10,000 მან. კმარაო, ბევრგან სჭირს ჩვენგან შკოლებს ხელისმომართვაო და ამიტომ დანარჩენი ფული მოვიხმაროთო.

ამ საგნის თაობაზე კრებაში ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა; უფ. გ. წერეთელმა ბევრი ილაპარაკა და კარგადაც ილაპარაკა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ფულების შენახვა ტალანტის დამარხვას ემგვანებაო, საჭიროება უანგარიშო გვაქვსო, დასახარჯავად გვაქვს ეს ფულიო და უნდა დავხარჯოთო; თუ კარგათ წავიყვანთ საქმეს, თუ ქართველობა დაინახავსო, რომ მართლა დავეხმარეთ განათლების საქმეს, დარწმუნებული იყავითო, რომ ეს წყარო, თუ არ მოიმატებს, არ მოიკლებსო, ყოველთვის ბლომათ ექმნება ჩვენს საზოგადოებას ფულებიო, ამის შიში არ უნდა გვქონდესო.

ესვე აზრი რამდენმამე სხვებმაც წარმოთქვეს. ბოლოს ხმის უმეტესობით ყრილობამ დაადგინა, რომ ამ ფულიდამ ძირად ფულად ნურც ერთი კაპეიკი ნუ დაინიშნებაო, ჰქონდეს საზოგადოებას და თუ საჭიროთ დაინახოს, რამდენიც დასჭირდება, იმდენი მოიხმაროს განათლების საქმეზედაო.

ამას გარდა ყრილობამ დაამტკიცა გამგეობის წინადადება, რომ სეკრეტარს გამგეობისას დაენიშნოს ჯამაგირი წელიწადში 600 მან. და კანცელარიის ხარჯად 60 მანეთი 195 მან. დახარჯულა საზოგადოების წესდების დაბეჭდვისა და სხვა წვრიმალებისათვის.

საზოგადოების დამდგენელთა და ნამდვილ წევრთა თავიანთი საწევრო ფული მუდამ წელს 1 მაისისათვის უნდა წარმოადგინონ ხაზინადართან და ვინც არ წარმოადგენს, გამორიცხული იქნება საზოგადოებიდგან.

სხდომა ღამის მეთორმეტე საათზე დაიხურა.

*** ჩვენ მივიღეთ ცნობა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტო-

რისაგან, რომ ამ კვირას, 3 ივნისს, იქნება საზოგადო აქტი იმის თაობაზედ, რომ ამ სემინარიაში წელს პირველად ათავებენ კურსს ახალგაზდა ყმაწვილები, რომელნიც ქართულ და სომხურ შკოლების მასწავლებლად უნდა იქნენ შემდეგ დანიშნულნი. აქტი იქნება შუადღეზე ბორის კრუჟოკში.

⁂ ალექსანდრაპოლიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ამ ზაფხულ იქითკენ ერთობ გახშირებულა გველი; ამ მოკლე ხანში გველის კბენისაგან ხუთი კაცი მომკვდარა.

⁂ მცხეთიდამ იწერებიან „თფ. მოამბეში“, რომ კალია იქითკენაც საშინლად გავრცელებულა, ისე რომ მინდვრები და ყანები თითქმის სულ მოუტიტვლებია. სოფ. ძეგვში და ზემო და ქვემო ავჭალაში აღარც ბალახი გადარჩენილა იმათგან, აღარც პური. მცხეთიდამ ერთი წყება კალია არაგვისაკენ (დუშეთისკენ) წასულა, მეორე კი მტკვრის დაყოლება (თფილისის და კახეთისაკენ).

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. თაიროვს, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, სალიანის თევზის იჯარა დარჩა ერთის წლის ვადით 405,000 მანეთად, ეს იჯარა გარდაუცია უფ. თამამშოვისათვის (რომელთანაც, ამბობენ, ისევ უფ. ალიხანოვი არის ამხანაგათაო), გარდაუცია და თან 80,000 მანეთიც დაუთავებია, ოღონდ თავიდამ მომაშორეო...

პასუხის-პასუხი

უ. დავით ნიკოლოზის ძეს ბაქრაძეს

მოწყალეო ხელმწიფევ!

გმადლობთ გვიან პასუხის გაცემისათვისაც, თუმცა, ჩემდა სამწუხაროთ, ეს პასუხი მე კიდევ ისევ იმ მდგომარეობაშივე მტოვებს, რა მდგომარეობაშიაც ჩვენგან ცნობილი საგნის შესახებ აქამდისინ ვიყავი.—„ჩვენგან ცნობილითქო“—მოგახსენებთ, მაგრამ თქვენ იმდენი თვალთ-მაქცობა გიხმარიათ, რომ არც კი ახსენებთ—თუ რა იყო საგანი ჩემგან თქვენის გამოწვევისა. დარწმუნებული ვარ, მე და თქვენს გარდა, ვისაც ჩემი „ღია ბარათი“ არ წაუკითხავს, ვერ წარმოიდგენს—თუ რაში მიგებთ მე პასუხს, რა არის ის საგანი, რომლის გამოკვლევასაც მე ვთხოულობ თქვენგან.—

თქვენ „ძრიელ გიკვირთ“, რომ მე, რომელიც თანაუგრძნობდი (სხვათა შორის) თქვენს კანდიდატურას და „მგონი“ კარვის მხრითაც გიცნობდით, ამ გვარის მოთხოვნილებით მოგმართეთ და თან დასძენთ ამას:

„ნუ თუ ეს ცნობა და თანაგრძნობა ისეთს სუსტს საფუძველზედ იყო დამყარებული, რომ ვილაც ტურია (იგივე მიხეილ) ფალავასაგან დაყრილმა ხმამ ეჭვში შეგიყვანათ და ჩემდამო რწმუნება შეგირყიათ“?

რა საფუძველზედაც უნდა ჰყოფილიყო დამყარებული ჩემი თქვენდამო თანაგრძნობა, თქვენ არ შეგიძლიათ გარდაწყვეტილათ სთქვათ, რომ მე, როგორც ერთი „მეკენჭე“, თქვენ რომ არ გეყარათ კენჭი, თქვენს მეტს სხვას არავის არ მივსცემდი თეთრს.

თქვენ კარგათ გეხსომებათ, რომ თქვენს გარდა ჩვენი და მაშასადამე უმეტესი ნაწილი თქვენი მომხრეებისაც კანდიდატი იყო უფ. დ. ი. ყიფიანი იმ დრომდინ, სანამ იმისმა შვილმა, ორისამი მყვირალის მეოხებით, დაუფიქრებლად არ განაცხადა უარი მამის კანდიდატობაზე.— თქვენ აგრეთვე კარგათ გეხსომებათ, რომ ჩვენი გულითადი სურვილი იყო, ამხანაგურათ და ყაყალ-მაყალოთ დაგვეთანხმებია უ. ნ. ბ. ღოლობერიძეც, რომ ამას საზოგადო კრებაზე, როდესაც კანდიდატების დასახელება იქნებოდა, მადლობით განეცხადებია უარი თავის კანდიდატობაზე, რომლის შემდეგ თქვენგანაც პირობა გვქონდა,— თქვენც უარს განაცხადებდით და ამ რიგათ, თქვენიც და უ. ნ. ბ. ღოლობერიძის მომხრეებიც უ. დ. ი. ყიფიანს მისცემდნენ თეთრს. უ. ნ. ღოლობერიძე არ დაგვყვა ნებას ჩვენს, სურვილს არ დასდო ვალი, რადგან „საზოგადოება არ მიშვებაო“! „მეუბნებიან—თქვენს იქით გზა არა გვაქვს“ და სხვ. უეჭველია, რომ საზოგადოების თხოვნის წინააღმდეგობა ძნელია!..

და აი, ამისთანა კაცის მოპირდაპირეთ გამოდით თქვენ მაშინ, როდესაც ჩვენ თქვენთან ერთად დავრწმუნდით, რომ უ. დ. ყიფიანის კანდიდატურა მოისპო და ამის შემდეგ ჩვენი თანაგრძნობაც თქვენკენ იყო.

აი რა საფუძველზედ იყო დამყარებული ჩემი თქვენდამო „თანაგრძნობა“, ამ წარსული კენჭის ყრის დროს.

როგორ ჰფიქრობთ, ეს საფუძველი არის საკმაო იმისთვის რომ ვილაც ტურია ფალავისაგან დაყრილმა ხმამ ეჭვში შემიყვანოს და თქვენზე რწმუნება შემირყიოს? თუ გინდ ამგვარათ წარმომდგარი თანაგრძნობაც არ ყოფილიყოს ჩვენს შორის, რომელიც თითქოს პირობებულ თანაგრძნობათ გამოდის, განა თქვენი საზოგადოებაში მდგომარეობა, თქვენი დღევანდელი თანამდებობა და მაღალი სწავლის, უნივერსიტეტის კურსის დასრულება, არ აიძულებ ყველას, ვისაც ერთი იოტის ოტელა პატივის ცემა მაინც აქვს თქვენი, რომ ეცადოს, კარგათ თუ ავათ, ახსნას ყოველი უგვარო ხმა, რაც თქვენზე საზოგადოებას მოეფინება? განა ყოველი ჩვენგანი მოვალე არ არის, რომ უგვარო საქმეების მომქმედს ამხანაგს ხელი არ დააფაროს, გამოააშკარაოს მისი მოქმედება, ეცადოს ყოველის ღონისძიებით გამოიკვლიოს იგი და თუ გამტყუნდეს, გამოარიცხოს თავის საზოგადოებისაგან და საქვეყნოთ უარი სთქვას იმის პატიოსნებაზე? ჩემი ჰაზრით, ეს შეადგენს ყოველთვის ჩვენგანის უპირატეს და უუწმინდესს მოვალეობას.

ეხლა მოგახსენოთ ის, თუ რა იყო უმთავრესი მიზეზი ჩემი თქვენდამო რწმუნების შერყევისა. გავარკვიოთ ჩვენვე, ცოტათი მაინც, ის ხმა, რომელსაც თქვენ „უსაფუძვლო ჭორს“ ეძახით.

ხომ დამეთანხმებით, რომ ამ ჩვენს თავად-აზნაურების ყრილობების და, საზოგადოთ, ყოველგვარს ამორჩევების კარგი მხარეები ვერ უდრიან იმ სიბილწეს და ვნებას, რაც მათის წყალობით მომხდარა და დღესაც ხდება ხოლმე ჩვენში? უფრო გარკვევით მოგახსენეთ: ეს დღეს ჩვენში არსებული ამორჩევები მის მაგიერ, რომ სარგებლობა მოგვიტანოს, ხასიათი გაგვიმშვენიეროს და მოგვიმზადოს სხვა უფრო საჭირო რეფორმებისათვის, რომელთაც მალე მომავალში უნდა მოველოდეთ, ამის მაგიერ ვამბობ, ისინი რყვნიან ჩვენს საზოგადოებას, ურთიერთ შორის სიძულვილს სტოვებს, გვარს გვარზე და ერთს მაზრას მეორეზე ალაშქრებს. ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ, რომ ერთი რომელიმე პარტია თავის კანდიდატის გასაყვანათ, ოღონდ მოწინააღმდეგე პარტია კი დაამარცხოს და არაფერს არ ზოგავს, ყოველ გვარს საშვალებას ხმარობს: ქრთამსაც იღებს და აძლევს კიდეც, ყოველ გვარს ცილის-წამებას ჩადის, პირ-მოთნეობს და ლაქუცობს. რას უნდა მოველოდეთ იმ კაცისაგან, რომელიც ვისმეს თეთრ კენჭს იმიტომ აძლევს, რომ ერთი სადილი აჭამეს, ან რამე გაათევიეს, ანუ გაჭედილი უნაგირი აჩუქეს ან და კიდევ პრაგონის ფული უსაგრძლეს?.. რას უნდა მოველოდეთ ამ გვარი, ამისთანა საშუალებებით ამორჩეულ პირისაგან? რა შეიძლება ამისთანა კაცს მოეთხოვოს?..

აი, რა ნაირად მომზადებული საზოგადოების წევრები ვეგებებით ერობას, რომელიც დღეს თუ ხვალ მოგველის!...

მაშ, ჩვენ უნდა გვცოდნოდა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ამ წარსული კრების დროსაც გამოჩნდებოდნენ იმისთანა კაცები, რომელნიც, ოღონდ თავის მოპირდაპირე კი დაემარცხებინათ და ქრთამს კი არა, სხვა უფრო უბილწესს საშუალებასაც არ დაზოგავდნენ.

აი, ამ დროს ვარდება ხმა, რომ ვითომც თქვენ ხუთასი მანეთი გაგიგზავნიათ თავ. ფალავეების მისასყიდველად, გადმოსაბირებლად.

ყველა ჩვენგანმა, მით უფრო რომ ეს ხმა სწორეთ თქვენი კენჭის ყრის დროს გავარდა საზოგადოებაში, ვიფიქრეთ, რომ უთუოდ მოწინააღმდეგე პარტიისაგან არის დამხეული-თქო, რომ ამ გზით თქვენთვის მომხრეები ჩამოეცალათ.—მაგრამ, სამწუხაროთ, თქვენ აღარ გვაცალეთ ეს ამ გვარი ახსნა ხსენებული ხმისა უფრო გამოგვეკვლია და დამწიფებულიყო ჩვენში. თქვენ რომ იქვე მოგთხოვეთ ანგარიში, ასე გვიპასუხეთ:

—„მინ იცის, ეგების ღმერთი გაუწყრა და ჩემმა ძმამ ჩაიდინა ამისთანა საქმეო!“

ამ პასუხმა სულ მთლად გაგვიწვრილა გული და მუხლები მოგვკვეთა. ჩვენ ვფიქრობდით: რათ იქნებოდა, რომ თქვენი ძმა ან თუგინდ რომელიმე თქვენი მომხრეთაგანი, თქვენ-და დაუკითხავათ ამისთანა საქმეს ჩაიდენდა? განა იმათ არ იცოდნენ, რომ ამისთანა საქმე ჩვენში არ დაიმალება და რაკი ერთხელვე შეიტყობდნენ, მაშინ ის შეიქნებოდა თქვენი მომაკვდინებელი ყოველ შემთხვევაში: მიაღწევდა ის ხუთასი მანეთი თავის დანიშნულებას, თუ არა? ამ თქვენმა ამგვარმა პასუხმა ის „უსაფუძვლო ჭორი“, ჩვენდა—სამწუხაროთ, ამას ჩემდა თავად მოგახსენებთ, ნახევრად გაამართლა, უფრო ეჭვში შემიყვანა და აბა, კიდევ გკითხავთ, ეს თქვენი პასუხი იყო საკმაო იმისთვის, რომ ჩემი რწმუნება თქვენზე შერყეულიყო, თუ არა?—მევე ვაძლევ ჩემს თავს პასუხს, რომ სრული საკმაო იყო და აი უმთავრესი მიზეზიც, რომელმანც მე მაიძულა მოვქცეულვიყავ თქვენთან ხსენებულის მოთხოვნილებით.

მაშ, გთხოვთ მომცეთ „გასამართლებელი პასუხი:“ განა შეიძლებოდა თქვენს ძმას ან თუგინდ ვინმე თქვენს მომხრეთაგანს, თქვენდა დაუკითხავათ, ამოეღო ხუთასი მანეთი და თთ. ფალავეებისათვის ესაგრძლა?...

თქვენ აგრეთვე შეუძლებელად მიგაჩნიათ, თქვენი სიმართლე სასამართლოს წესით დაამტკიცოთ. როგორც სასამართლოსთან ახლო მდგარი კაცის მე სრული თანახმა ვარ თქვენი, რომ ჩვენში მოწმეების შემწეობით იმის დამტკიცებაც კი შესაძლებელია, რომ შარშან მზე დასავლეთიდ ამოდიოდა და აღმოსავლეთიდ ჩადიოდა; მაგრამ—ოღონდ თქვენ თქვენი სიმართლე ბეჭდვით დაამტკიცეთ და სუდმა—თვისის მოწმეებითურთ, თქვენი ჭირი წაიღოს.

ჩემდა თავათ მე სანამ სხვებსაც, რომელთაც რაიმე ინტერესი აქვსთ ამ საქმეში, ხმა არ ამოუღიათ ბეჭდვით, არას მოგახსენებთ.

ივანე მესხი

ქუთაისი, 24 მაისს.

წერილი რედაქტორთან

რამდენჯერმე წამიკითხავს თქვენს „დროებაში“, წარსულს წლებში, ფოთის სომხების ეკლესიაზედ, რომ მღვდელი რიგიანათ არ იქცევაო, ეკლესიაში სრულებით რიგს არ ასრულებსო, მრევლი უღვდლოთ არისო და სხვა.

ესენი ყველა მართალი იყო. მართლათაც ურიგობა იყო; თუმცა ეკლესიაც გვქონდა და ღვდელიც გვყავდა, ხოლო ჩვენთვის არც ეკლესია იყო ღია და არც მღვდელი იყო მღვდლათ. მუდამ ამ მღვდელზედ ვჩიოდით და ვემდურებოდით.

მაგრამ ის მაშინდელი გაჭირვება ყველა დაგვავიწყა აწმყო ჩვენმა დროებამ: რაც რომ შერიგება მოხდა და ფოთი ისევ ჩავარდა თავის უწინდელს მდგომარეობაში, მას შემდეგ ჩვენ, სომხებს, არც ძველი და არც ახალი ღვდელი აღარ გვინახავს თვალით, ჩვენი ეკლესია აღარ გაღებულა. მხოლოთ ორჯელ დიდი სამადლო საქმისავით გაგვიღეს ეკლესია, ერთხელ სანათლისღებოთ და მეორეც სააღდგომოთ. დიდს მადლობას შევწირავთ იმათ, ვინც ეს სამადლო საქმე ჰქნა, რომ ღვდელი გამოგვიგზავნეს. მაგრამ ნუ თუ წელიწადში მარტო ორჯელ არის ღვდელი მრევლისათვის საჭირო? ნუ თუ საზოგადოება წელიწადში ორჯელ მოძრაობს ნათვლით, სიკვდილით, ქორწილით თუ ზიარებით? ნუ თუ საზოგადოებისათვის წელიწადში ორჯელ არის საჭირო ლოცვა, წირვა და არა მეტათ? ჩვენს სასულიერო წოდებას მარტო ორჯელ ვაგონდებით წელიწადში,—ისიც რა, ამ ორს დროსაც ღვდელი ორი დღით მოდის; სანათლიღებოთ გამოგვიგზავნეს ალელი მღვდელი, ორს დღეს იყო და წავიდა; ახლა სააღდგომოთაც გამოგვიგზავნეს მეორე ღვდელი, ესეც ორს დღეს იყო და წავიდა, ბრძნება ისე ჰქონდათ, ფულიც მოგროვილი ჰქონდა სახლის საკურთხი...

კარგა ხანია ჩვენ უღვდელოთ ვართ, კარგა ხანია ჩვენ ეკლესიური და ქრისტიანული წესი აღარ გვისრულდება. სააღდგომოთ მოსულს ღვდელს ფოთის სომხებიც კარგათ დახვდნენ: ზოგმა არც სახლში მიიღეს და არც ეკლესიაზედ მოვიდნენ; ჩვენ ღვდელი მარტო აღდგომისათვის არ გვინდაო! თუმცა ეკლესიას არ უნდა გასწყრომოდნენ, მაგრამ გაჯავრებული კაცი ბევრს რამეს იტყვის. ამ ერთს წელიწადში რამდენი სული მომკვდარა და სულ უღვდლოთ დამარხულან. ამათი ცოდვა მაინც ეწევათ იმათ, ვისიც ვალია ამ საქმის ყურისგდება და რიგის მიცემა...

ვინმე სომეხი

განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდების § 16-ის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1879 წლის 30 ივნისს (თიბათვეს) შუადღეზედ, ქალაქს თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლში № 3, დანიშნულია გასყიდვა (ხელმეორედ ვაჭრობა აღარ დაინიშნება) იმ პირთ უძრავ ქონებისა, რომელთაც ბანკიდამ ვალი აიღეს და, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 ძალით, დანიშნულ ვადაზე ვერ შემოიტანეს ხვედრი გადასახადი:

ტერ-მიკირტიჩიანცის, ქრისტეფორე ნიკიტის ძისა—სამ-ეტაჟიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა შენობებით და მიწით $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თფილისში მე-11 განყოფილების მეთორმეტე უჩასტკაში, ჩუღურეთში, რომელი მამულიც ანდერძით ქმრისაგან სოფიო მიხეილის ასულის ტერ-მიკირტიჩიანცის სამუდამო მფლობელობაში გადავიდა. თავნი ვალი აძევს ამ მამულს 76,531 მანეთი და 22 კაპ., გადასახდელი აქვს კიდევ 3,928 მან. და 50 კაპ., სულ 80,459 მანეთი და 72 კაპ.

პანამაროვისა, ელისაბედ გრიგორის ასულის—სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თავის შენობებით და მიწით 104 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 1 განყოფილების მეექვსე უჩასტკაში. თავნი ვალი 3,770 მან. და 12 კაპ., გადასახდელი 203 მან., სულ 3,933 მან. 12 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასულის—ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი თითო-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი და 7 არშინი თფილისში, ა) 1 განყოფ. მეშვიდე უჩასტკაში და 2) მე-11 განყოფ. მეთოთხმეტე უჩასტ. ჩუღურეთში. თავნი ვალი 16, 965 მ. 57 კაპ., გადასახდელი კიდევ 1,062 მან. და 75 კაპ., სულ 18,028 მან. 39 კაპ.

ფავლიევის, იაკობ სვინონის ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, შენობებით და მიწით 72 ოთხ-კუთ. საჟენი. თფილისში 1 განყ. მეხუთე უჩასტ., ნემეცკის ქუჩაზე. თავნი ვალი 5,702 მან. 92 კაპ., გადასახდელი—317 მან. 92 კ. სულ 6,074 მან. 84 კაპ.

ამატუნისა, ანნა ნაზარის ასულის—ორ-ეტაჟიანი ქვით-კირის სახლი, შენობებით და მიწით 578 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, ველიამინოვის ქუჩაზე, 1 განყოფ. მეოთხე უჩასტკაში. თავნი ვალი 52,305 მან. 64 კაპ., გადასახდელი 2,592 მან. 80 კაპ., სულ 54,898 მან. 44 კაპ.

ერისთავის, თ. გიორგი გიორგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე მიწები 243 დესიატინა და 1,263 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი—7,916 მან. 33 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8.272 მან. 53 კაპ.

ერისთავის, თ. გიორგი გიორგის ძის—სახნავ-სათესი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 800 დესიატინა. თფ. გუბ. და თფილისისვე უეზდში სოფ. ბოჩარმაში. თავნი ვალი 4,754 მან. 15 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4,968 კაპ. 31 კაპ.

Ⴀვალიშვილის, თ. Ⴈვანე ზაალის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. Ⴇფილისის გუბერნიის გორის უეზდში, სოფ. ბრეთს. Ⴇავნი ვალი, 8,930 მან. 45 კაპ., გადასახდელი 398 მან., 60 კაპ., სულ 9,329 მან. და 5 კაპ.

Ⴀბხაზის, თ. Ⴈრაკლი Ⴀლექსანდრეს ძის—ორი ნაჭერი მიწა სივრცით 177 დესიატინა და 7 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისის გუბ. და უეზდში სოფ. Ⴇხინვალში. Ⴇავნი ვალი, 5,942 მან. 53 კაპ., გადასახდელი 524 კაპ. 82 კაპ., სულ 6,466 მან. 35 კაპ.

Ⴍრბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1,434 დესიატინა და 1120 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისის გუბ. Ⴇრიალეთის საპრისტაოში სოფ. მუსიყალაში ვერანი ადგილით შმიდილარით. Ⴇავნი ვალი 10,926 მან. 99 კაპ., გადასახდელი 468 მან. 81 კაპ., სულ 11,395 მან. 80 კ.

Ⴍრბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 1977 დესიატინა და 1280 ოთხ-კუთხი საჟენი, Ⴇფილისის უეზდში სოფ. ძველ-დუმანისში, ჩლიხჩურში და Ⴚიხის-საყდარში. Ⴇავნი ვალი 13,865 მან. 90 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14.457 მან. 98 კაპ.

ჩოლაყაშვილის ნიკოლოზ Ⴇადეოზის ძის—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 5,724 დესიატინა და 145 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისის უეზდში, სოფ. ყარაბალახში, ფალდოს, სამგორს და უჯარმაში. Ⴇავნი ვალი 59,601 მან. 75 კაპ. გადასახდელი 2,507 მან. 51 კაპ., სულ 62,109 მან. 26 კაპ.

Ⴇარხან-მოურავისა, კნეინა მარიამ ბიძინას ასული—სახნავ-სათესი და საბალეხე მიწები 545 დესიატინა და 1645 ოთხ-კუთხი საჟენი, Ⴇფილისის გუბ. გორის უეზდში, სოფ. Ⴚხოველში. Ⴇავნი ვალი—6,655 მან. 51 კაპ., გადასახდელი—292 მან. 23 კაპ., სულ 6,947 მან. 74 კაპ.

სტეფანოვის, გეურქ პავლეს ძის—ცარიელი მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 განყ. მეთერთმეტე უჩასტკაში, ქ Ⴇფილისში. Ⴇავნი ვალი—1,200 მ., გადასახდელი—92 მან. 20 კაპ., სულ 1,292 მან. 20 კაპ.

ყარაჯევის, Ⴈვანე სტეფანეს ძის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით $52\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. Ⴇფილისის 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ვარანცოვის ქუჩაზე Ⴇავნი ვალი—400 მან., გადასახდელი 41 მან. 62 კაპ., სულ 441 მან. 62 კაპ.

ყურულის, დურმიშხან შალვას ძის—ადგილი ხის სახლით, 213 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისის გუბერნიის ქ. გორში. Ⴇავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 261 მან. 26 კაპ., სულ 2261 მან. 26 კაპ.

მეხტიევის, სადიყ Ⴍსკარ-ოღლის—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 547 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისში, 1 განყოფ. მეცხრე უჩასტკაში, ბატანიკურ ბაღთან. Ⴇავნი ვალი 1,200 მან., გადასახდელი 65 მან. 34 კაპ., სულ 1,265 მან, 34 კაპ.

მანუკიანცების, ბაგრატ და Ⴀლექსი გეურქის შვილებისა—ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 143 ოთხ-კუთხი საჟ. Ⴇფილისში, მე-2 განყ. მეცამეტე უჩასტკაში, ბეზიმიანნის (უსახელო) ქუჩაზე. Ⴇავნი ვალი—1000 მან., გადასახდელი 97 მან. 58 კაპ., სულ 1,097 მან. 58 კაპ.

ბასტამოვისა, ნინო Ⴈაგორის ასულის—ბაღის ადგილი 7 დესიატინა და 1440 ოთხ. კუთხი საჟ. Ⴇფილისის უეზდში, სოფ. ზემო-Ⴀვჭალას. Ⴇავნი ვალი—2,000 მან., გადასახდელი 27 მან, 32 კაპ., სულ 2,017 33 კაპ.

ზარიძის, ნიკოლოზ გრიგორის ძის—ერთ-ეტაჟიანი სახლი და თან ადგილი 55 კაპ. Ⴇფილისში, მე-2 განყოფ. მეთორმეტე უჩასტკაში, ჩუღურეთში. Ⴇავნი ვალი—500 მან., გადასახდელი 49 მან. 27 კაპ, სულ 549 მან. 27 კაპ.

შატბეროვისა, ლიუდმილა Ⴀთანასეს ასულის—ერთ-ეტაჟიანი სახლი, სახნავ-სათესი და საბალახე ადგილი $18\frac{1}{2}$ დესიატინა და 1000 ოთხ-კუთხი საჟენი. Ⴇფილისის გუბერნიის გორის უეზდში, სოფ. ხაშურს. Ⴇავნი ვალი 800 მან., გადასახდელი 64 მან. 60 კაპ., სულ 864 მან. 60 კაპ. და

ზანდუკელის, Ⴍტია გიორგის ძის—სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები 80 დესიატინა. Ⴇფილისის გუბ. Ⴇიონეთის უეზდში სოფ. ბაკიანთ-კარში. Ⴇავნი ვალი—794 მან. 68 კაპ., გადასახდელი 49 მან. 86 კაპ., სულ 844 მან. 54 კაპ.

ვაჭრობა (ტორგი) ბანკის წესდების მე-19 მუხლის თანახმად, დაიწყება ზემო-მოყვანილის ვალის ჯამიდამ, მხოლოთ ამას მიემატება რაც მამულს კიდევ გადასახდელი ვალი აქვს ზემსკი და ხარჯი.

Ⴇავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილი იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით იმათის ნომინალურის ფასით, მანეთი მანეთში მიიღება; შეიძლება აგრეთვე ბანკის ვალი მსყიდველზე გადაიცეს, ბანკის გამგეობის ნებართვით. რაც ვადაზე შემოსატანი ვალი აძევს მამულს ანუ სხვა გადასახადი, ის კი ნაღდი ფულებით უნდა გადაიხადონ.

Ⴇუ დანიშნულ დროს, ე. ი. 30 ივნისს ამ 1879 წლისა ზემო-მოხსენებული მამულები არ გაიყიდა, ამ შემთხვევაში ბანკის გამგეობა, წესდების მე-22 მუხლის ძალით, დანიშნავს მეორე და უკანასკნელ ვაჭრობას (ტორგს) ამავე 1879 წლის 14 ივლისისათვის.

(3—3)

პატივი გვაქვს, გამოუცხადოთ უფ. ხონისა და აგრეთვე Ⴍზურგეთისა მოვაჭრეებს: ივნისიდან 1. Ⴇფილისში ჩაბარებული ქარვასლებიდან ყოველივე ხორაგი საქონელი გაიგზავნება თავინთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და Ⴍზურგეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

Ⴉანტორა იმყოფება: პირველი—Ⴇფილისში (ყორყმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილდი.

ვარსევან Ⴈაგ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ.

(4—1)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 6 ივნისს, იმის თანდასწრებით, იქნება ვაჭრობა (ტორგი) ხუთის წლით არენდით მიცემაზედ ქალაქის მიწისა, რომელიც არის სივრცით 656 ოთხ-კუთხი საჟენი და რომელიც მდებარებს ქალაქის მეორე განყოფილების მე-10 უჩასტკაში მტკვრის პირველ ჩასავალთან, თ. Ⴄრისთვის სახლის პირ-და-პირ, შემდეგს სამზღვრებში: ჩრდილოეთით—ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩა, აღმოსავლეთით—მდ. მტკვარი და დასავლეთით Ⴈსარლოვების ადგილი.

(3—1)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მდგომარე 1879 წლის განმავალობაში იქნება ხელ-ახლად გაკეთებული (რემონტი) შემდეგი ქუჩები, სულ 13,000 ოთხ-კუთხ საჟენამდინ:

1) კოჯრის ქუჩა, 2) ნაგორნის ქუჩა, (რტისჩევისა და გულოვიჩის ქუჩებს შუა და განოვისა და ველიამინოვის ქუჩებს შუა), 3) რტისჩევის ქუჩა (Ⴀმალლების ქუჩამდინ), 4) Ⴀმალლების ქუჩა (ქალაქის მთავარ არხის სათავემდინ), 5) კონსულის ქუჩა, 6) განოვის (ბაღის ქუჩიდამ ნაგორნამდინ), 7) კამენდანტის, 8) ლაბორატორიის (სოლოლაკის ქუჩიდამ ქალების Ⴈნსტიტუტამდინ), 9) საპიორის ქუჩა, 10) დიდი ვოდოვოზნის, 11) ბარონის (Ⴀტამანის ქუჩიდამ ბაზრის ქუჩამდინ), 12) პოლიციის ქუჩა, 13) სიონის, 14) მოლნინის ვიწრო ქუჩა 15) დიდი მრუდე ქუჩა (პურის მოედნიდამ მაედნამდინ), 16) რეუტოვის ქუჩა, 17) Ⴀვჭალის, 18) კაროჩნის (მიხაილოვის ქუჩიდამ Ⴄლისავეტოპოლის ქუჩამდინ) და 19) Ⴄრევნის მაედანი.

Ⴀმას გარდა შეკეთდება თხრილები აგრეთვე სხვა ქუჩებისაცა და აგრეთვე Ⴀლგეთის ქვის გზაც.

(1—1)

Дозволено цензурою: Тифлисъ 30 мая 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედ. ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.